თბილისელების
ადვოკატი

სპეციალური სავაჭრო ზონა, მცირე და მიკრო ბიზნესის სტატუსი

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE
EURASIA PARTNERSHIP FOUNDATION
EAST · WEST MANAGEMENT INSTITUTE
Sida

ეს პუბლიკაცია დაფინანსებულია ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ „სამოქალაქო ინიციატივა დამოუკიდებელი სასამართლოსთვის“ პროექტის ფარგლებში, ამერიკელი ხალხის დახმარებითა და შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი და შესაძლებელია შეხედულებები არ ემთხვეოდეს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის, USAID-ის, ამერიკის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის (EWMI) შეხედულებებს.

ავტორი დავით კიკალეიშვილი

პუბლიკაცია მომზადებულია 2011 წლის I ნოემბრის მდგომარეობით

ტირაჟი: 1000

ს ა რ ჩ ე ვ ი

● მარეგულირებელი კანონმდებლობა 7

● სპეციალური სავაჭრო ზონა, სპეციალური დაბეგვრის რეჟიმი..... 7

● მიკრო ბიზნესი 9

● მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირისათ-ვის აკრძალული საქმიანობის სახეები 15

● მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმება და მისი შედეგები..... 16

● მიკრო ბიზნესის ვალდებულებები..... 17

● მიკრო ბიზნესის საგადასახადო კონტროლი 18

● მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ დეკლარაციების წარგენა 19

● მცირე ბიზნესი 19

● მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირისათ-
ვის აკრძალული საქმიანობის სახეები 22

● მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება და მისი
შედეგები..... 23

● მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი და
გადასახადის განაკვეთები 25

● მცირე ბიზნესის შემოსავლებისა და ხარჯე-
ბის აღრიცხვის პრინციპები..... 26

● მცირე ბიზნესის მიმდინარე გადასახდელები
და გადასახადის წყაროსთან დაკავების წესი28

● მცირე ბიზნესის საგადასახადო კონტროლი
28

● მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ
დეკლარაციის წარდგენის წესი 29

მარეგულირებელი კანონმდებლობა

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის 999 ბრძანება „საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“;
3. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის 415 დადგენილება.

სპეციალური სავაჭრო ზონა, სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები

2011 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლითაც საგადასახადო კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები და აგრეთვე გათვალისწინებულ იქნა მრავალი სიახლე. ამ სიახლეებიდან ქვემოთ განხილული იქნება რამოდენიმე, კერძოდ სპეციალურ სავაჭრო ზონა და სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები ანუ მიკრო და მცირე ბიზნესი.

სპეციალური სავაჭრო ზონა

სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსი, მისი მინიჭების, შემდგომი საქმიანობისა და დაკარგვის წესი რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 26-ე მუხლით.

სპეციალური სავაჭრო ზონა არის ის ტერიტორია (ბაზარი ან სხვა შენობა- ნაგებობა), რომელიც არის ერთი ან რამოდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირის (მაგალითად: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და ა.შ.) მფლობელობაში/საკუთრებაში და იგი/ისინი ახდენს ამ ტერიტორიაზე არსებული სავაჭრო ადგილების გაქირავებას/იჯარით გაცემას. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ თბილისში არსებული ნებისმიერი სავაჭრო ცენტრი: ლილოს ბაზრობა, კიდობანი, ქარვასლა და ა.შ.

იმისათვის, რომ ამა თუ იმ ტერიტორიას მიენიჭოს სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსი, აღნიშნული მოთხოვნით ამ ტერიტორიის მფლობელმა/მესაკუთრემ (ე.წ. ტერიტორიის "ადმინისტრაციამ") განცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს მთავრობას. აგრეთვე, შესაძლებელია, რომ საქართველოს მთავრობამ საკუთარი ინიციავით მიანიჭოს ამა თუ იმ ტერიტორიას სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსი ისე, რომ არ გაითვალისწინოს ამ ტერიტორიის მფობელის/მესაკუთრის სურვილი, ამასთანავე, საქართველოს მთავრობას უფლება არა აქვს, რომ სხვადასხვა სავაჭრო ზონის მიმართ დაადგინოს განსხვავებული მოთხოვნები

და წესები. მას უფლება აქვს სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე აკრძალოს ცალკეული საქმიანობის სახეები.

დღესდღეობით საქართველოში სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსი არცერთ პირს არ აქვს მინიჭებული.

იმ პირს, რომელიც საქმიანობს სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე (მაგ: იჯარით აქვს აღებული რაიმე ფართი), უფლება აქვს ისარგებლოს მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსით. ამისათვის, იგი უნდა აკმაყოფილებდეს მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, რომლებზეც დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი.

თუ პირი მცირე ბიზნესს ეწევა მხოლოდ სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე, მაშინ იგი დაიბეგრება დასაბეგრი შემოსავლის 3 %-ით და არა 5 %-ით.

სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსის მქონე პირი (ანუ ტერიტორიის მფლობლი/მესაკუთრე - ადმინისტრაცია) ვალდებულია შეასრულოს იმ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებები, რომელიც საქმიანობას ეწევა მის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე. საგადასახადო ვალდებულებაში მოიაზრება დეკლარაციების წარდგენა, კუთვნილი გა-

დასახადების გადახდა და ა.შ. მაგ: მეწარმე “X”-ს იჯარით აქვს აღებული ფართი სავაჭრო ცენტრ ქარვასლაში და ენევა სავაჭრო საქმიანობას. ასეთ დროს ის პირი, რომელიც არის ამ სავაჭრო ცენტრის მფლობელი/მესაკუთრე, ვალდებულია მეწარმე “X”-ის ნაცვლად ჩააბაროს “X”-ის კუთვნილი დეკლარაციები და შესაბამისად მის ნაცვლადვე გადაიხადოს “X”-ის კუთვნილი გადასახადები (საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი და ა.შ.).

სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსის მქონე პირი ვალდებულია წარადგინოს და გადაიხადოს გადასახადის გადამხდელის მხოლოდ ის დეკლარაციები და გადასახადები, რომლებიც დაკავშირებულია გადასახადის გადამხდელის მხოლოდ ამ სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე საქმიანობასთან. თუ იგივე გადასახადის გადამხდელს სხვაგანაც აქვს საქმიანობის ადგილი, ამ საქმიანობის ნაწილში დეკლარაციების წარდგენის ვალდებულება აქვს სხვა სავაჭროს ზონას, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ეს ფართი.

სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსის მქონე პირს (ე.წ. “ადმინისტრაციას”) არა აქვს ვალდებულება მის ტერიტორიაზე არსებული გადასახადის გადამხდელის ნაცვლად ჩააბაროს ქონების დეკლარაცია (მისი არსე-

ბობის შემთხვევაში) და შესაბამისად გადაიხ-ადოს ქონების გადასახადი.

იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე მოქმედმა გადასახ-ადის გადამხდელმა დამალა გადასახადები ან ჩაიდინა რაიმე სახის სამართალდარღვევა, ამ სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებ-ული პასუხისმგებლობისათვის (ჯარიმა, საურავი და ა.შ.) პასუხს აგებენ როგორც გადასახადის გადამხდელი, ასევე სპეციალ-ური სავაჭრო ზონის სტატუსის მქონე პირი. მაგალითად, თუ გადასახადის გადამხდელმა დაარღვია საკონტროლო- სალარო აპარატის გამოყენების წესი და ამისათვის დააჯარიმეს 500 ლარით, ამ თანხის გადახდის ვალდებ-ულება ეკისრება როგორც გადასახადის გად-ამხდელს, ასევე იმ სპეციალურ სავაჭრო ზო-ნის სატუსის მქონე პირს, რომლის ტერიტო-რიაზეც მოხდა ეს დარღვევა. ასეთი სამარ-თალდარღვევის დროს დგება სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსის მქონე პირისა და გადასახადის გადამხდელის სოლიდარული პასუხისმგებლობა.

მიკრო ბიზნესი

მიკრო ბიზნესი არის სამეწარმეო საქმი-ნობის გამარტივებული ფორმა, რომლის დროსაც ამ სტატუსის მქონე ფიზიკური პირი

არ იყენებს საკონტროლო-სალარო აპარატს, არ იხდის საშემოსავლო გადასახადს (საშემოსავლო გადასახადი არის გადასახადი, რომელსაც პირი იხდის მის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლიდან, რომლის განაკვეთია 20%).

იმისათვის, რომ დაინტერესებულ ფიზიკურ პირს მიენიჭოს მიკრო ბიზნესის სტატუსი, მან საგადასახადო ორგანოში უნდა შეავსოს განცხადების ფორმა, რომლის მიხედვითაც იგი უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა მოთხოვნას:

1. უნდა იყოს ფიზიკური პირი - დაუშვებელია ამ სტატუსის მინიჭება იურიდიული პირისათვის (მაგალითად: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის, სააქციო საზოგადოებისთვის და ა.შ.).

2. პირი მიკრო ბიზნესის სტატუსით განხორციელებულ საქმიანობაში არ უნდა იყენებდეს დაქირავებულ პირს (ადამიანი, რომელიც დაეხმარება ამა თუ იმის საქმის გაკეთებაში ანაზღაურების სანაცვლოდ). დაქირავებულ პირად არ ითვლება მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის ოჯახის წევრი (მეუღლე, შვილი, დედა, მამა და ა.შ.), ანუ ის პირები, ვისთან ერთადაც იგი ეწევა საერთო სამეურნეო საქმიანობას.

3. კალენდარული წლის განმავლობაში

ამ საქმიანობიდან პირის მიერ მიღებულმა ჯამურმა ერთობლივმა შემოსავალმა არ უნდა გადააჭარბოს 30 000 ლარს.

- კალენდარული წელი - დროის მონაკვეთი ნებისმიერი წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო თუ პირი დარეგისტრირდება მაგალითად 1 მაისს, მაშინ მისთვის პირველი კალენდარული წელი იქნება 1 მაისიდან ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- ჯამური ერთობლივი შემოსავალი - შემოსავალი, რომელიც პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულია მისი საქმიანობიდან (მიკრო ბიზნესიდან).

ზემოთ აღნიშნულ 30 000 ლარში არ შედის მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში შემდეგი წყაროებიდან მიღებული შემოსავალი:

1. ქონების იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი.
2. სესხის გაცემიდან მიღებული შემოსავალი.
3. სათამაშო ბიზნესიდან მიღებული მოგებები.
4. ჩუქებით მიღებული შემოსავალი.
5. ნამეტი შემოსავალი (ქონების რეალიზაციის შედეგად დარჩენილი მოგება), რომელიც მიღებულია შემდეგი ქონების რეალიზაციით:

6. უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი, სახლი);

7. ავტოსატრანსპორტო საშუალება;

8. ფასიანი ქაღალდები.

9. მემკვიდრეობით მიღებული ქონების სახით მიღებული შემოსავალი.

10. დივიდენდის (მოგების ის ნაწილი, რომელიც ნაწილდება საწარმოს პარტნიორებს შორის) სახით მიღებული შემოსავალი.

11. პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი.

12. როიალტის (რაიმე ღირებული უფლებით სარგებლობის საფასური, მაგალითად ნიაღისეულის მოპოვებისთვის გადახდილი საფასური; ვიდეოფილმის ჩვენებისთვის გასახდელი საფასური და სხვ.) სახით მიღებული შემოსავალი.

13. ვალის პატიებით მიღებული შემოსავალი.

თუ პირი დამოუკიდებლად, დაქირავებული პირის დახმარების გარეშე ეწევა ქვემოთ ჩამოთვლილ რომელიმე საქმიანობას და თვითონვე ახდენს საქონლის/მომსახურების საცალო მიწოდებას საბოლოო მომხმარებლამდე, მაშინ იგი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან, მიუხედავად იმისა, მისი ჯამური ერთობლივი

შემოსავალი კალენდარული წლის განმავ-ლობაში გადააჭარბებს თუ არა ზემოხსენ-ებულ 30 000 ლარიან ზღვარს. საქმიანობის სახეები:

1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა, რომელიც ხორციელდება ტრაქ-ტორებით ან კომბაინებით.
2. ხალიჩებისა და ორხოვისებრი ნაწარმ-ის წარმოება.
3. პულოვერებისა და ანალოგიური ნაწარმის წარმოება.
4. ზედა ტანსაცმლის წარმოება, გარდა მოდელების დემონსტრირებისა და ჩვენები-სა.
5. საცვლების წარმოება.
6. თავსაბურავების წარმოება.
7. დანარჩენი ტანსაცმლისა და აქსესუ-არების წარმოება.
8. ხის სხვადასხვა ნაწარმის წარმოება.
9. ტანსაცმლისა და თავსაბურავების ხის საკიდების წარმოება.
10. ხის საოჯახო ნივთებისა და სამზა-რეულოს საკუთნოების წარმოება.
11. ფაიფურისა და ქაშანურის სამეურ-ნეო-საყოფაცხოვრებო ნაკეთობების წარ-მოება.
12. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჭურ-ჭლისა და ინვენტარის წარმოება.

13. მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება.

14. აკორდეონებისა და ანალოგიური საკრავების, მათ შორის, ტუჩის გარმონიკების წარმოება.

15. სასულე მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება.

16. ცოცხებისა და ჯაგრისების წარმოება.

17. საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი.

18. საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, თუ ის ხორციელდება ამ საგნების წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობისაგან დამოუკიდებლად.

19. ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის რემონტი.

20. საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტი.

21. საათებისა და საიუველირო ნაწარმის რემონტი.

22. ტანსაცმლის გადაკეთება და რემონტი.

23. საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი.

24. თეთრეულისა და სხვა საფეიქრო ნაწარმის რეცხვა და დამუშავება.

25. შინამეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული მომსახურება.

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირისათვის აკრძალული საქმიანობის სახეები

იმისათვის, რომ ფიზიკურ პირს მიანიჭონ მიკრო ბიზნესის სტატუსი, იგი არ უნდა ეწეოდეს/აპირებდეს შემდეგი სახის საქმიანობას:

1. საქმიანობა, რომელსაც სჭირდება ლიცენზია ან ნებართვა.
2. სავალუტო ოპერაციების (ფულის გადახურდავება) საქმიანობა.
3. სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა.
4. სათამაშო ბიზნესის საქმიანობა (კაზინოები, პოკერ კლუბები).
5. ვაჭრობა.

ეს პუნქტი არ ეხება იმ შემთხვევას, როდესაც ხორციელდება შესყიდული საქონლის გადამუშავება და მიწოდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დაკმაყოფილების შემთხვევაში პირს მიენიჭება მიკრო ბიზნესის სტატუსი და მიეცემა შესაბამისი სერთიფიკატი. სერთიფიკატს მინიჭებული

ექნება უნიკალური ნომერი, მასში მითითებული იქნება მისი მფლობელის დასახელება (სახელი, გვარი, პირადი №) და აღნიშნული იქნება, რომ მის მფლობელს უფლება აქვს აწარმოოს მიკრო ბიზნესი.

მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმება და მისი შედეგები

მიკრო ბიზნესის სტატუსი მიმდინარე საგადასახადო წელს უქმდება, თუ:

1. ფიზიკურმა პირმა თავისი ინიციატივით მიმართა საგადასახადო ორგანოს მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით ან თუ მან მიმართა მცირე მეწარმის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით და დაუკმაყოფილდა მოთხოვნა. ასეთ დროს ავტომატურად უქმდება მიკრო ბიზნენსის სტატუსი.

2. საგადასახადო ორგანომ პირს ჩაუტარა ინვენტარიზაცია (შემოწმების სახე, რომლის მეშვეობითაც ხდება აქტივებისა და ნაშთების ფაქტობრივი მდგომარეობის დადგენა) და აღმოაჩინა, რომ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთები აქვს 45 000 ლარზე მეტი ღირებულების, რაც დაუშვებელია. მაგ: შემოწმების დროს პირთან აღმოაჩინეს 50 000 ლარის ღირებულების გადასამუშავებელი მასალა, რომლის გამოყ-

ენებითაც იგი ეწევა მცირე ბიზნესს.

3. კალენდარული წლის განმავლობაში მისმა ჯამურმა ერთობლივმა შემოსავალმა გადააჭარბა 30 000 ლარს. პირმა ასეთი გადაჭარბების შემთხვევის დადგომიდან 15 დღის ვადაში უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჩამოერთმევა მიკრო ბიზნესის სტატუსი და დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადის 20%-იანი განაკვეთით.

4. პირმა დაიწყო ზემოთ ჩამოთვლილი მიკრო ბიზნესისათვის აკრძალული საქმიანობების სახეებიდან რომელიმე (აზარტული თამაშები, საადვოკატო საქმიანობა და ა.შ.).

თუ ფიზიკური პირს გაუუქმდა მინიჭებული მიკრო ბიზნესის სტატუსი, ასეთ შემთხვევაში ფიზიკური პირის შემოსავალი (რომელიც მიიღო სტატუსის გაუქმებამდე) ექვემდებარება დაბეგვრას სტატუსის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

მიკრო ბიზნესის ვალდებულებები

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი პირველადი საგადასახადო დოკუმენტის (მაგ: სასაქონლო ზედნადები) გამოწერისას ვალდებულია დოკუმენტში მიუთითოს, რომ იგი

არის მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი და აგრეთვე უნდა მიუთითოს სერთიფიკატის ნომერი.

თუ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი თვითონ გამოწერს ან სხვა გამოუწერს მას პირველად საგადასახადო დოკუმენტს, მაშინ იგი ვალდებულია შეინახოს აღნიშნული დოკუმენტი მისი გამოწერის წლიდან მომდევნო 6 წლის განმავლობაში. მაგ: თუ ასეთი დოკუმენტი შედგა 2011 წლის 1 აგვისტოს, 6 წლის ათვლა დაიწყება არა 1 აგვისტოდან, არამედ 2012 წლის 1 იანვრიდან.

მიკრო ბიზნესის საგადასახადო კონტროლი

საგადასახადო ორგანოებმა მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიმართ შეიძლება განახორციელონ მიმდინარე საგადასახადო კონტროლის შემდეგი ღონისძიებები:

1. საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა;
2. დათვალიერება;
3. ქრონომეტრაჟი;
4. ინვენტარიზაცია.

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ დეკლარაციების წარგენა

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირმა მისი ადგილმდებარეობის მიხედვით შესაბამის საგადასახადო ორგანოს უნდა წარუდგინოს დეკლარაცია მისი ბრუნვების შესახებ, რათა დადგინდეს დასაბეგრი შემოსავლის ოდენობა.

დეკლარაცია საგადასახადო ორგანოში წარდგენილ უნდა იქნას საანგარიშო პერიოდის მომდევნო წლის 1 აპრილამდე. პირს დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება არა აქვს თუ იგი საქმიანობას ახორციელებს სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე. ასეთ დროს მის კუთვნილ დეკლარაციას წარადგენს სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსის მქონე პირი.

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი მიკრო ბიზნესისათვის დაშვებული საქმიანობის შეწყვეტიდან 30 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგენს დეკლარაციას.

მცირე ბიზნესი

მცირე ბიზნესი, განსხვავებით მიკრო ბიზნესისაგან, წარმოადგენს საქმიანობის შედარებით რთულ ფორმას. მიკრო ბიზნესისასგან განსხვავებით, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის შემოსავალი

იბეგრება 3 ან 5 პროცენტიანი განაკვეთით.

იმისათვის, რომ დაინტერესებულ ფიზიკურ პირს მიენიჭოს მცირე ბიზნესის სტატუსი, მან ადგილობრივ საგადასახადო ორგანოში უნდა შეავსოს განცხადების ფორმა, რომლის მიხედვითაც იგი უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა მოთხოვნას:

1. უნდა იყოს მენარმე ფიზიკური პირი - დაუშვებელია ამ სტატუსის მინიჭება იურიდიული პირისათვის;

2. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს. (პირის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს დამატებული საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავალი);

აღნიშნულ 100 000 ლარში არ შედის და შესაბამისად სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით არ იბეგრება მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში შემდეგი წყაროებიდან მიღებული შემოსავალი:

1. ქონების იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი.

2. სესხის გაცემიდან მიღებული შემოსავალი.

3. სათამაშო ბიზნესიდან მიღებული მოგებები.

4. ჩუქებით მიღებული შემოსავალი.

5. ნამეტი შემოსავალი, რომელიც მიღებულია შემდეგი ქონების რეალიზაციით:

6. უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი, სახლი);

7. ავტოსატრანსპორტო საშუალება;

8. ფასიანი ქაღალდები.

9. მემკვიდრეობით მიღებული ქონების სახით მიღებული შემოსავალი.

10. დივიდენდის (მოგების ის ნაწილი, რომელიც ნაწილდება ორგანიზაციის პარტნიორებს შორის) სახით მიღებული შემოსავალი.

11. პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი.

12. როიალტის სახით მიღებული შემოსავალი.

13. ვალის პატიებით მიღებული შემოსავალი.

14. პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირისათვის აკრძალული საქმიანობის სახეები

იმისათვის, რომ ფიზიკურ პირს მიანიჭონ მცირე ბიზნესის სტატუსი, იგი არ უნდა ეწეოდეს/აპირებდეს შემდეგ სამიანობას:

1. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს ლიცენზიას ან ნებართვას.
2. საქმიანობები, რომელთა განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციას (აქციზური საქონლის წარმოება).
3. სავალუტო ოპერაციების განხორციელება.
4. სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა.
5. სათამაშო ბიზნესი.
6. პერსონალით უზრუნველყოფა.
7. აქციზური საქონლის (ვისკი, არაყი, თამბაქო და ა.შ.) წარმოება.

მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების შემდეგ პირს გადაეცემა სერთიფიკატი. სერთიფიკატს მინიჭებული ექნება უნიკალური ნომერი, მასში მითითებული იქნება მისი მფლობელის დასახელება (სახელი, გვარი, პირადი №) და აღნიშნული იქნება, რომ მის მფლობელს უფლება აქვს აწარმოოს მცირე ბიზნესი.

მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება და მისი შედეგები

მცირე ბიზნესის სტატუსი მიმდინარე საგადასახადო წელს უქმდება, თუ:

1. ფიზიკურმა პირმა თავისი ინიციატივით მიმართა საგადასახადო ორგანოს მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით.

2. საგადასახადო ორგანომ პირს ჩაუტარა ინვენტარიზაცია (შემოწმების სახე, რომლის მეშვეობითაც ხდება აქტივებისა და ნაშთების ფაქტობრივი მდგომარეობის დადგენა) და აღმოაჩინა, რომ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთები აქვს 150 000 ლარზე მეტი ღირებულების, რაც დაუშვებელია.

3. მეწარმე ფიზიკურ პირს წარმოეშვა დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციაზე დადგომის ვალდებულება, ეს ვალდებულება კი წარმოეშობა მაშინ, როდესაც იგი ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და მის მიერ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს.

4. კალენდარული წლის განმავლობაში მისმა ჯამურმა ერთობლივმა შემოსავალმა

გადააჭარბა 100 000 ლარს. თუ პირს მცირე ბიზნესის სტატუსი ჩამოერთმევა ამ საფუძვლით, მაშინ მას უფლება აქვს კვლავ მიიღოს ეს სტატუსი, თუ:

- ამ სტატუსის გაუქმებიდან მომავალი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა არ აღემატება 100 000 ლარს;
- ამ სტატუსის გაუქმებიდან 12 კალენდარული თვის მომდევნო წლიდან, პირი არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი.

როდესაც პირს წარმოეშობა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება ან ნებაყოფლობით დადგება დღგ-ს გადამხდელად, მას უუქმდება მცირე ბიზნესის სტატუსი. დაუშვებელია მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი იყოს დღგ-ს გადამხდელი.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირს ეს სტატუსი გაუუქმდება, თუ დაიწყო ზემოთ ჩამოთვლილი მცირე ბიზნესისათვის აკრძალული საქმინობების სახეებიდან (აზარტული თამაშები, საადვოკატო საქმიანობა და ა.შ.) რომელიმე ან თუ მეწარმე ფიზიკურ პირს საკონტროლო-სალარო აპარატების გამოუყენებლობისათვის კალენდარული წლის განმავლობაში 3-ჯერ დააკისრებენ ჯარიმას.

მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი და გადასახადის განაკვეთები

მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლებისაგან, გარდა ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებისა. მცირე ბიზნესის შემოსავალი იბეგრება 5 %-ით. მცირე ბიზნესის ერთობლივი შემოსავალი 5%-ის ნაცვლად იბეგრება 3%-ით, თუ:

- მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს აქვს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ერთობლივი შემოსავლის 60 %-ის ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა) დამადასტურებელი დოკუმენტები; მაგ: პირის მიერ მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 1 000 ლარი, აქედან 700 ლარი იყო ის ხარჯი, რომელიც მან გაწია იმისათვის, რომ მიეღო ზემოხსენებული 1 000 ლარი. გასათვალისწინებელია, რომ ამ 700 ლარში არ უნდა შედიოდეს დაქირავებულ პირზე (მუშა, გამყიდველი და ა.შ.) დარიცხული ხელფასი.
- მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი საქმიანობს მხოლოდ სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე.

მცირე ბიზნესის შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის პრინციპები

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურმა პირმა უნდა აწარმოოს ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალი. მისთვის ან მის მიერ პირველადი საგადასახადო დოკუმენტის (მაგალითად ასეთი დოკუმენტია სასაქონლო ზედდებული) გამოწერის შემთხვევაში იგი ვალდებულია შეინახოს აღნიშნული დოკუმენტი 6 წლით.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე საფუძვლით მოხდება მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს სტატუსის გაუქმებისას უფლება აქვს:

1. გაუქმების მომენტისთვის არსებული სასაქონლო ნაშთები აღრიცხოს შესაბამის დოკუმენტში (დოკუმენტი, რომელიც სპეციალურად ამ მომენტისთვის შედგება სასაქონლო ნაშთების აღსარიცხავად), რომელიც მომავალში არ ჩაითვლება ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტად, მაგრამ ეს საქონელი არ ჩაითვლება აღურიცხველად და შესაბამისად არ გამოიწვევს პირის დაჯარიმებას.

2. გაუქმების მომენტისთვის არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთები შეაფასოს საბაზრო ღირებულებით და შესაბამის დოკუმენტში აღრიცხოს სასაქონ-

ლო-მატერიალური მარაგების ნაშთად, რომ-ლის საერთო ღირებულება არ უნდა აღემატე-ბოდეს 30 000 ლარს. აღნიშნული დოკუმენტი არის მარაგებზე ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც შეტანილი იქნება ინფორმაცია ამ მარაგების სახეობის, ოდე-ნობისა და ღირებულების შესახებ;

3. თუ იგი იყენებს იმ უფლებას, რომ სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშ-თები შეაფასოს საბაზრო ღირებულებით და შესაბამის დოკუმენტში აღრიცხოს სასაქონ-ლო-მატერიალური მარაგების ნაშთად, მაშინ იგი ვალდებულია აღრიცხული სასაქონლო-მატერიალური მარაგის ნაშთის საერთო ღირე-ბულების თანხით გაზარდოს მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებისას არსებული დასაბეგრი შემოსავალი. მაგ: პირს აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი და ექვსი თვის მუშაობის შემდეგ აუქმებს ამ სტატუსს. სტატუსის გაუქმების დროისათვის მისი დასაბეგრი შემოსავალი იყო 50 000 ლარი, ამასთანავე გაუქმების დროს მას ჰქონდა 30 000 ლარის საბაზრო ღირებულების ნაშთები (საქონელი). თუ იგი აღრიცხავს ამ ნაშ-თებს, რათა ჩაეთვალოს ხარჯებში, მაშინ მისი დასაბეგრი შემოსავალი 50 000 ლარის ნაცვლად გახდება 80 000 ლარი (50 000+30 000=80 000) და შესაბამისად, გადასახადს გადაიხდის 80 000 ლარიდან (80 000*3%=2 400)

მცირე ბიზნესის მიმდინარე გადასახდელები და გადასახადის წყაროსთან დაკავების წესი

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი ვალდებულია მიმდინარე გადასახდელების თანხები ყოველი კვარტალის (სამი თვის) მომდევნო თვის 15 რიცხვამდე გადაიხადოს. გადასახდელებს პირი იხდის წინა წელს საშემოსავლო გადასახადის ოდენობის გათვალისიწინებით (მაგ: თუ პირის მიერ გადახდილმა საშემოსავლო გადასახადმა წინა წელს მთლიანობაში შეადგინა 400 ლარი, მაშინ იგი ვალდებულია მომდევნო წლის 15 მაისამდე გადაიხადოს 400 ლარის 25% ანუ 100 ლარი, ხოლო მომდევნო გადახდა (ისევ 100 ლარის) მოუწევს შესაბამისად 15 ივლისამდე, მესამე 15 სექტემბრამდე, მე-4 15 დეკემბრამდე).

პირს, რომელსაც წინა წელს არ ჰქონია დასაბეგრი შემოსავალი, მიმდინარე გადასახდელებს არ იხდის

მცირე ბიზნესის საგადასახადო კონტროლი

საგადასახადო ორგანოებმა მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების მიმართ შეიძლება განახორციელონ მიმდინარე საგადასახადო კონტროლის შემდეგი ღონისძიებები:

1. საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა;
2. დათვალიერება;
3. საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვა;
4. ქრონომეტრაჟი;
5. ინვენტარიზაცია.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ დეკლარაციის წარდგენის წესი

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირმა შესაბამის საგადასახადო ორგანოს უნდა წარუდგინოს დეკლარაცია მისი ბრუნვების შესახებ, რათა დადგინდეს დასაბეგრი შემოსავლის ოდენობა. დეკლარაციის წარდგენის ვადაა საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე.

პირს დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება არა აქვს, თუ იგი საქმიანობას ახორციელებს სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე. ასეთ დროს მის კუთვნილ დეკლარაციას წარადგენს სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსის მქონე პირი.

დეკლრაციის წარდგენის ვალდებულება აქვს მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირს საქმიანობის შეწყვეტიდან 30 დღის ვადაში. ამ ვადაში უნდა გადაიხადოს მან გადასახა-

მისამართები

1. გლდანი, მეტრო ახმეტელის მიმდებარე ტერიტორია სს. "ელეგანტი" (ბაზრობის ადმინისტრაცია) ადმინისტრაციული შენობა;

ტელ: 577 255 841;

2. ელიავას ბაზრობა, შპს. "სავაჭრო ცენტრი დიდუბე" (ბაზრობის ადმინისტრაცია) ადმინისტრაციული შენობა;

ტელ: 577 255 844;

3. სავაჭრო ცენტრი პასაჟი (ვაგზლის მოედანი), ბაზრობის ადმინისტრაციის შენობა;

ტელ: 577 255 847

4. სავაჭრო ცენტრი კიდობანის მიმდებარე ტერიტორია შპს. "თერგი I" (ბაზრობის ადმინისტრაცია) ადმინისტრაციული შენობა;

ტელ: 577 255 846

5. ისნის ბაზრობა-მეტრო ისნის მიმდებარე ტერიტორია, შპს. “ტრანსსერვისის” (ბაზრობის ადმინისტრაცია) ადმინისტრაციული შენობა;

ტელ: 577 255 849;

6. შუამთის ქ. #16 ვარკეთილის ბაზრობა შპს. “ვარკეთილი-96” (ბაზრობის ადმინისტრაცია) ადმინისტრაციული შენობა;

ტელ: 577 255 838;

7. ლილოს ბაზრობა შპს. “ელსავაკო” (ბაზრობის ადმინისტრაცია) ადმინისტრაციული შენობა;

ტელ: 577 255 843